



სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო ანგარიში - 2016

შესავალი	2 გვ.
მარკეტინგი და პოპულარიზაცია.....	2 გვ.
ექსპორტი.....	7 გვ.
რთველი 2016	9 გვ.
ვენახების კადასტრი.....	11 გვ.
ქართული ვაზის კულტურის კვლევა	12 გვ.
დეგუსტაციები.....	13 გვ.
სერტიფიცირება.....	13 გვ.
სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება.....	13 გვ.
საკანონმდებლო საქმიანობა	14 გვ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მიზანია, ხელი შეუწყოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებას, კონკურენტუნარიანი ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვას.

სააგენტოს უფლება-მოვალეობებია: სახელმწიფო კონტროლი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებსა და ღვინის ბრენდებზე, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტირება და კონტროლი, შესაბამისობისა და წარმოშობის სერტიფიკატების გაცემა; მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში დასაქმებული ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა; ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა; დარგთან დაკავშირებული სამარკეტინგო და სარეკლამო საქმიანობა; ალკოჰოლიანი სასმელების დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და სემინარების მოწყობის ხელშეწყობა; რთველის ორგანიზებულად ჩატარების ხელშეწყობა;

ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს 5 პროგრამას: ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები; რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები; მევენახეობის განვითარების ღონისძიებები; ღვინის ლაბორატორიული კვლევა; ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია.

2016 წლის საქმიანობიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბაზრების დივერსიფიკაციის საფუძველზე 40%-მდე გაზრდილი ღვინის ექსპორტი და წარმატებით ჩატარებული რთველი-2016.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია და მარკეტინგი

საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო ორგანიზებას უკეთებს დეგუსტაციებს, კონკურსებს, საერთაშორისო ღვინის კონფერენციებს, გამოფენების და მედია-ტურების ჩატარებას.

მარკეტინგული აქტივობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- რეგიონები, სადაც საქართველოს, როგორც ქვეყნის და შესაბამისად ქართული ღვინის ცნობადობა არის დაბალი;
- რეგიონები, სადაც ცნობადობა არის მაღალი, მაგრამ საჭიროა ლოიალური სეგმენტის ზრდა.

ქართული ღვინო პროფესიონალებისა და მოყვარულების წინაშე 3 ძირითადი გზავნილით წარსდგება: „საქართველო ღვინის აკვანი“, რაც დაფუძნებულია მრავალ

ისტორიულ და არქეოლოგიურ ფაქტებსა და წყაროებზე, რომ საქართველო მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი გზავნილია „8 ათასი უწყვეტი რთველი“ - საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც 8 ათასი წლის დაიწყეს ღვინის წარმოება და ამ კულტურას წყვეტა არ ჰქონია.

მესამე ძირითადი გზავნილია - 525 უნიკალური ადგილობრივი ჯიში. ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით საქართველო მართლაც გამორჩეული და უნიკალურია მსოფლიოს მეღვინეობით განთქმულ ქვეყნებს შორის. საქართველოში აღწერილია კულტურული ვაზის 500 ზე მეტი ქართული ჯიში. ასეთი მრავალფეროვნება ადასტურებს, რომ საქართველოში კულტურული მემკვიდრეობა ათასწლეულებს ითვლის.

ცალკე სეგმენტად გამოიყოფა ქართული ქვევრის ღვინო. ქვევრის ღვინის დამზადების უნიკალური წესისა და ტრადიციების პრომოცია ხდება, როგორც გამოფენა-ღონისძიებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია.

2016 წელს ღვინის ეროვნული სააგენტო მხარდაჭერით, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 50-მდე ღონისძიებაზე საქართველოსა და მსოფლიოს 11 ქვეყანაში: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, აშშ, იაპონია, ჩინეთი/ჰონგ-კონგი და ირლანდია.

ქართული ღვინის კომპანიები მონაწილეობდნენ მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენებში:

- „Gruene Woche 2016“, გერმანია (14-25 იანვარი);
- „Les Penitentes“, საფრანგეთი (30-31 იანვარი);
- „La Dive Boutteille“, საფრანგეთი (31 იანვარი-1 თებერვალი);
- „FOODEX JAPAN 2016“, იაპონია (8-11 მარტი);
- „Prowein Diusseldorf 2016“, გერმანია, 13-15 მარტი;
- „Tenth China International Wine Fair (CIADE 2016)“, ჩინეთი, 19-21 მარტი;
- „China Food & Drink Fair“, ჩინეთი (20-26 მარტი);
- „Wine and Gourmet Japan 2016“, იაპონია (13-15 აპრილი);
- „Real Wine Fair 2016“, დიდი ბრიტანეთი (17-18 აპრილი);
- „RAW London“, დიდი ბრიტანეთი (15-16 მაისი);

- „19th Investment and Trade Forum for Cooperation between East and West China and Silk Road International Exposition“, ჩინეთი (22-26 მაისი);
- “VinExpo 2016”, ჰონგ-კონგი, 24-26 მაისი;
- „Vyno Dienes 2016“, ლიტვა (27-28 მაისი);
- „WinExpo Georgia 2016“, საქართველო (3-5 ივნისი);
- SITT (Specialist Importers Trade Tasting), დიდი ბრიტანეთი, 19-21 სექტემბერი, მანჩესტერი, ლონდონი;
- The 5th Eurasia Expo, 2016, ჩინეთი, სინძიანი, 20-25 სექტემბერი;
- RAW New York, აშშ, 6-7 ნოემბერი;
- Prowein China 2016, ჩინეთი, შანხაი, 5-7 ნოემბერი;
- „EnoExpo 2016“, პოლონეთი (16-18 ნოემბერი);
- RAW Berlin, გერმანია, ბერლინი, 27 ნოემბერი.

გამოფენების პარალელურად, ქართული ღვინის წარდგენა მოხდა სხვადასხვა ღონისძიებაზე. მათ შორის, აღსანიშნავია:

- კომპანია „Georgian house of Greater Washington, LLC“-ს ორგანიზებით თებერვალსა და მარტში ვაშინგტონის სხვადასხვა ღვინის მაღაზიაში გაიმართა დეგუსტაციები სახელწოდებით „აღმოაჩინე ქართული ღვინო“;
- აპრილში ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსსა და ქალაქ კაუნასში გაიმართა ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები სახელწოდებით „წითელი ღვინოები საქართველოდან“;
- აპრილში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში, პეკინის „როტარი კლუბის“ (Rotary Club of Beijing) შეხვედრზე ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია და საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა;
- 28 აპრილს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ოფისში, პარიზში, ქართული ღვინისა და ღვინის კულტურის პრეზენტაცია საფრანგეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საფრანგეთის აგრარული პალატის, პროფესიონალი სომელიეების, ენოლოგების, ღვინის ჟურნალისტებისა და ბლოგერების, UNESCO-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების წინაშე გაიმართა;
- 27-28 მაისს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში დეგუსტაცია - „გამორჩეული ღვინოები საქართველოდან“ ჩატარდა;
- კომპანია „Tastingwork“-ის (აშშ) ხელმძღვანელის, ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკის ორგანიზებით „ივნისი - ქართული ღვინის თვე აშშ-ში“ გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ქართული ღვინის დეგუსტაციები ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და სან-ფრანცისკოში მოეწყო;

- ივნისში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში ქართული ღვინისა და ჩინურ-ქართული ფოლკლორის დღე „საქართველო - ღვინის სამშობლო, მეღვინეობის 8000-წლიანი უწყვეტი ტრადიცია“ აღინიშნა, სადაც ქართული ღვინოების დეგუსტაცია გაიმართა;
- ივლისში ქართული ღვინის ფესტივალი შანხაისა და ჰონგ-კონგში ჩატარდა, სადაც სხვადასხვა ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის ღვინოები იყო წარმოდგენილი. ასევე, კომპანია MaiM9-თან თანამშრომლობით, პეკინის (Beijing), ნინბოს (Ningbo), შანჰაისა (Shanghai) და ტანშანის (Tangshan) ღვინის მაღაზიებსა და სალონებში ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციები გაიმართა;
- ივლისში, ჩინეთის 23-მილიონიანი მოსახლეობის სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩიში ქართული ღვინისა და ჩინური კულინარიის საღამო გაიმართა, რომელიც ორგანიზებული იყო ქართული ღვინის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი კომპანია „ბეიფანძიედას“ მიერ;
- სექტემბერში დიდი ბრიტანეთის ქალაქებში - ლონდონსა და მანჩესტერში, ყოველწლიურ გამოფენა-დეგუსტაციაზე SITT (Specialist Importers Trade Tasting) ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი;
- ოქტომბერში ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაცია სახელწოდებით - „Wines of Georgia“ ტალინსა და რიგაში ჩატარდა;
- სააგენტოს კონტარქტორები პოლონეთში კომპანია „Malinova“ და „Vinisfera“ წლის განმავლობაში დეგუსტაციებს მართავდნენ ვარშავაში, კრაკოვში, ვროცლავში, მიკოლაიკში, ლეზაში, ოსვინცემში და პოლონეთის სხვა ქალაქებში;
- კომპანია „ქართული ღვინის სახლის“ ორგანიზებით დეკემბერში აქცია „გამარჯობა, საფერავო“ (Well, Hello Saperavi) გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ვაშინგტონში, სხვადასხვა ღვინის სპეციალიზირებულ სავაჭრო ობიექტებში, ბარებსა და რესტორნებში ქართული ღვინის, კერძოდ, „საფერავის“ დეგუსტაციები ჩატარდა.

კვლავ აქტიური იყო ღონისძიებები ჩინეთში: ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და ჩინეთის პროვინცია ძიანსის ქალაქ ნანჩანის ქართული ღვინის ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაძლიერებას, კოორდინირებული აქტივობების, ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებას ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის, ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით; ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის ორგანიზებით ივლისში ქართული ღვინის საგანმანათლებლო კურსები გაიმართა; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ნანჩანგში, ძიანგსის აბრეშუმის გზის საინვესტიციო კომპანიის ინიციატივით და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საპარტნიორო ფონდის

მხარდაჭერით, ქართული ღვინის სახლი - „ჩინურ-ქართული კულტურის ცენტრი და ღვინის სავანე-ჯუნგე“ გაიხსნა; ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და ჩინეთის სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩის „ქართული ღვინის კულტურის ცენტრს“ შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. „ქართული ღვინის კულტურის ცენტრი“ ჩინეთში ქართული ღვინის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი კომპანია „ბეიფანძიედას“ მიერ დაფუძნდა. (Xinjiang Beifang Jianda Trade Co., Ltd). სულ წლის ბოლოსთვის ჩინეთში 40-მდე ქართული ღვინის სხვადასხვა ობიექტი (ქართული ღვინის სახლი, სალონი, მაღაზია და ა.შ.) ფუნქციონირებდა.

უცხოურ ბაზრებთან ერთად მნიშვნელოვანია საქართველოს ბაზრის პოტენციალის ათვისება, რომელიც მოიცავს ბოთლში ჩამოსხმული ღვინის მოხმარების კულტურის დანერგვასა და ღვინის შიდა ტურიზმის პოპულარიზაციას.

- 14 მაისს მთაწმინდის პარკში, „ახალი ღვინის ფესტივალი“ გაიმართა. ფესტივალში ღვინის კომპანიები, მცირე ოჯახური და საშუალო მარნები, ადგილობრივი და უცხოელი სტუმრები - პროფესიონალი ენოლოგები, სომელიეები, ღვინის ჟურნალისტები, ვაინბლოგერები და მწერლები მონაწილეობდნენ.
- 3-5 ივნისს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ორგანიზებით და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მხარდაჭერით, „ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-9 საერთაშორისო გამოფენა – WinExpo Georgia 2016“ გაიმართა.
- 22 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე საქართველოში ღვინის კვირეული გაიმართა. 22 სექტემბერს, ქართული ღვინის კვირეული თელავის მუნიციპალიტეტში, იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემია გახსნის საზეიმო ღონისძიებით დაიწყო. ამავე დღეს, ქართული ღვინის კვირეულის გახსნის აღსანიშნავად, თელავში, სახალხო ზეიმი - ღვინის ფესტივალი გაიმართა. ღვინის კვირეულის ფარგლებში ასევე ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვაზისა და ღვინის ბიბლიოთეკაში ქართულ მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მონოგრაფიული წიგნების გამოფენა-პრეზენტაცია, თბილისის N1 ღვინის ქარხანაში საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით, ღვინის ფესტივალი "ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე" გაიმართა; ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში, ქალაქ მარნეულში, როგორც ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის არქეოლოგიურ ცენტრში, მოეწყო ღვინის ფესტივალი; N1 ღვინის ქარხანაში ასევე მოეწყო ნინო კაჭარავას ფილმის - „ვაზში დაკარგულები“ კინოჩვენება. 30 სექტემბერს კახეთში გაიმართა მეღვინეთა გილდიის მიერ ორგანიზებული ფესტივალი „თელავინო 2016“, ასევე საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა ქართული ღვინის მე-3 ეროვნული

კონკურსი და გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება სასტუმრო „რუმში“ გაიმართა, ასევე მოეწყო „ღვინის კლუბის“ მიერ ქართული ღვინის გზამკვლევის პრეზენტაცია, ღვინის ტურიზმის ასოციაციის ორგანიზებით 1 ოქტომბერს კახეთის საინფორმაციო ღვინის ტური მოეწყო მიზნობრივი ჯგუფისთვის. კვირეული საზეიმოდ 2 ოქტომბერს რიყის პარკში დასრულდა, სადაც მოეწყო ღვინის გამოფენა-გაყიდვა და დამსახურებული მეღვინეების დაჯილდოების ცერემონია.

ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის ჩატარდა ღვინის ტურები უცხოელი პროფესიონალებისთვის, მათ შორის, აღსანიშნავია:

- ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია Marq Energie-ის (აშშ) წარმომადგენლები მათში საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვივნენ. ტურის ფარგლებში სტუმრებმა თბილისში, კახეთსა და ქართლში მოინახულეს ღვინის კომპანიები;
- სექტემბერში ღვინის საერთაშორისო მაგისტრის, ლიზა გრანიკის (აშშ) ხელმძღვანელობით ღვინის პროფესიონალების 10-კაციანი ჯგუფი საქართველოს ესტუმრა;
- სექტემბერში ღვინის მაგისტრის, დებრა მეიბურგის ხელმძღვანელობით ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტების ჯგუფი (იტალია, ავსტრალია, აშშ, პორტუგალია, ჩინეთი) ერთკვირიანი ღვინის მედია-ტურით საქართველოში ესტუმრა.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის კუთხით, მნიშვნელოვანია აგრეთვე სააგენტოში გახსნილ მუზეუმში მაღალი დონის სტუმრების ვიზიტი, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ქართული ღვინის უძველეს კულტურას და დაეგემოვნებინათ სხვადასხვა დასახელების ღვინოები. მათ შორის, აღსანიშნავია: ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატის აღმოსავლეთ სამეზობლოს მიმართულების ხელმძღვანელის, მეთიუ ბოუსქეთის, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობის მიმართულების ატაშეს, ალვარო ორტეგას და ევროკომისიის წარმომადგენლების, ჩინეთის საინვესტიციო ჯგუფის, კანადის საელჩოს წარმომადგენლების, იტალიის სოფლის მეურნეობის დელეგაციის, ვაზის კულტურის კვლევის პროგრამაში ჩართული მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერების, ჩინეთის ძიანსის პროვინციის დელეგაციის, კოპენჰაგენის უნივერსიტეტის დელეგაციის, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სასწავლებლების სტუდენტების ვიზიტები.

აღსანიშნავია ასევე სააგენტოს საგამოფენო დარბაზში გამართული გამოფენა „მე-19 საუკუნის ფრანგულ ფოტოებში ასახული ქართული ღვინის კულტურა“, სადაც წარმოდგენილი იყო საფრანგეთის სხვადასხვა მუზეუმებსა და არქივებში დაცული ფოტოები ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის შესახებ.

ქართული ღვინის ექსპორტი

2016 წელს საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 50 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 38%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 113.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია 2015 წლის მაჩვენებელზე.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია ევროკავშირის, ჩინეთის, აშშ-ს და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით:

ჩინეთში ღვინის ექსპორტის ზრდამ 2015 წელთან შედარებით შეადგინა - 98% (5 299 149 ბოთლი), უკრაინა - 70% (5 811 050), რუსეთი - 49% (27 222 076), პოლონეთი - 46% (2 329 820), კანადა - 34% (210 936), ბელარუსი - 30% (1 174 362), დიდი ბრიტანეთი - 28% (97 226), ესტონეთი - 25% (631 632), ყირგიზეთი - 24% (230 776), აშშ - 19% (294 382), ლატვია - 19% (1 258 632), იაპონია - 15% (159 654), გერმანია - 6% (292 454), ჩეხეთი - 353% (119 648) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (27 222 076 ბოთლი), უკრაინა (5 811 050), ჩინეთი (5 299 149), ყაზახეთი (3 393 435) და პოლონეთი (2 329 820).

ამასთან, 2016 წელს მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 10 367 886 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 43%-ით აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 23,12 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - ზრდამ 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24% შეადგინა.

ექსპორტირებულ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს შორის პირველ ადგილს იკავებს „ქინძმარაული“ – 7 417 333 ბოთლი, შემდეგ ხუთეულში მოდის „მუკუზანი“ – 2 568 547, „წინანდალი“ – 2 023 915, „ახაშენი“ – 923 780 და „ხვანჭკარა“ – 413 823 ბოთლი.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 194,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. 2015 წელს ეს მაჩვენებელი 146,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა - ზრდამ 32% შეადგინა.

რთველი - 2016

რთველის საკოორდინაციო შტაბი 23 აგვისტოს თელავში გაიხსნა. შტაბის გახსნას წინ უძღვოდა შეხვედრები მეწარმეებთან და კახეთის მუნიციპალიტეტების სოფლების რწმუნებულებთან. ჩატარდა რთველის ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები: რთველთან დაკავშირებით სამთავრობო დადგენილების მიღება და მისი გაცნობა მეწარმეებისთვის; ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა; პროგრამული უზრუნველყოფა და ტრენინგების ჩატარება შტაბის ოპერატორებისთვის; შემუშავდა „რთველი 2016“-ის საკომუნიკაციო სტრატეგია და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა. „რთველი 2016“-ის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის მიხედვით მომზადდა საკომუნიკაციო-საინფორმაციო მასალა: ბროშურა, ბანერები, შტენდერები და სხვა. რთველის მიმდინარეობის შესახებ საზოგადოების სწორი და დროული ინფორმირების მიზნით, აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა ცენტრალურ და რეგიონალურ მედია-საშუალებებთან.

2016 წელს რთველის პროცესში სიახლე იყო, რომ რთველში მონაწილეობის მიღების მსურველ კომპანიებს დარეგისტრირება შეეძლოთ ელექტრონულად, რთველის საკოორდინაციო შტაბში გამოცხადების გარეშე, ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით:
<http://winebalance.georgianwine.gov.ge/LogOn?ReturnUrl=%2f>

ასევე, სოფლის რწმუნებულები მევენახეებისთვის ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობის გაცემა შეეძლოთ სააგენტოს ვებ-გვერდზე, შემდეგ მისამართზე:
<http://governor.georgianwine.gov.ge/LogOn?ReturnUrl=%2f>

სულ საქართველოს მასშტაბით ინდუსტრიულად გადამუშავდა 115,2 ათასი ტონა ყურძენი, მოსახლეობის შემოსავლებმა შეადგინა 101,1 მლნ ლარი.

კახეთის რეგიონში - რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებული 195 კომპანიიდან ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო 178 კომპანიამ.

სულ გადამუშავდა 113,5 ათასი ტონა ყურძენი. მათ შორის:

- გურჯაანის მუნიციპალიტეტი - 35,8 ათასი ტონა;
- თელავი - 29,2 ათასი ტონა;

- ყვარელი - 22 ათასი ტონა;
- საგარეჯო - 9,6 ათასი ტონა;
- სიღნაღი - 7,1 ათასი ტონა;
- ახმეტა - 5 ათასი ტონა;
- ლაგოდეხი - 2,8 ათასი ტონა;
- დედოფლისწყარო - 2 ათასი ტონა;

ჯიშების მიხედვით კომპანიების მიერ მიღებული და გადამუშავებულია:

- რქაწითელი - 65 ათასი ტონა (მათ შორის სუბსიდირებული 61,6 ათასი ტონა),
- საფერავი - 42 ათასი ტონა (მათ შორის სუბსიდირებული 30,3 ათასი ტონა),
- კახური მწვანე - 3 ათასი ტონა (მათ შორის სუბსიდირებული 1,7 ათასი ტონა),
- სხვა ჯიშები - 3,5 ათასი ტონა.

ჯამში სუბსიდირებული ყურძნის რაოდენობამ შეადგინა 93,6 ათასი ტონა, რაც თანხობრივ გამოსახულებაში შეესაბამება 34, 55 მილიონ ლარს.

მთლიანობაში კახეთის მოსახლეობის შემოსავალმა რთველის პერიოდში შეადგინა 97 მილიონ ლარზე მეტი.

სახელმწიფო საწარმო სს „აკურას“ მიერ გადამუშავდა 31 ათას ტონამდე ყურძენი, რამაც შეადგინა რეგიონში გადამუშავებული ყურძნის საერთო რაოდენობის 27 %, რაც უკანასკნელი 3 წლის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში მონაწილეობდა 24 კომპანია.

სულ გადამუშავდა 513 ტონა ყურძენი:

- ალექსანდროული, მუჯურეთული 497 ტონა (მათ შორის სუბსიდირებული 482 ტონა),
- სხვა ჯიშები - 16 ტონა.

ალექსანდროული, მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე სუბსიდის თანხამ შეადგინა 960 ათასი ლარზე მეტი.

მთლიანობაში რაჭის მოსახლეობის შემოსავალმა რთველის პერიოდში შეადგინა 2,5 მილიონი ლარი.

სახელმწიფო საწარმო სს „აკურას“ რაჭის რეგიონში მიმდინარე ყურძნის გადამამუშავების პროცესში, წინა წლებისაგან განსხვავებით, მონაწილეობა არ მიუღია.

ყურძენი ღვინის კომპანიებს ჩააბარა 18 875 მევენახემ.

ვენახების კადასტრის პროგრამა

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ვენახების უწყებრივი კადასტრის პროგრამის განხორციელება 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან დაიწყო.

კადასტრის სისტემა ეფექტურად მუშაობს ევროკავშირის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობაა განვითარებული. საქართველოში ანალოგიური სისტემა აქამდე არ არსებობდა. საკადასტრო ბაზის არსებობა აუცილებელია ვენახების აღრიცხვიანობის მოწესრიგებისათვის, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გადაწყვეტილებების მისაღებად, რთველის პროცესის სწორად დაგეგმისთვის, ღვინის წარმოებისა და მისი მოძრაობის კონტროლირებისათვის, ზოგადად - მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს რეგულირებისათვის.

საკადასტრო ბაზა ხელს შეუწყობს:

ყურძნის წარმოებით დაკავებული ფერმერების ეკონომიკური შემოსავლების სტაბილურობას;

ღვინის კომპანიებს - სანედლეულო ბაზის სწორ პროგნოზირებისა და პროდუქციის სიმძლავრეების წინასწარ დაგეგმვაში, რომელიც პირდაპირ აისახება კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე;

მევენახეობა-მეღვინეობის სექტორში სახელმწიფო პროექტების ეკონომიკურ ეფექტურობის ამაღლებას პროგრამით გათვალისწინებული რესურსების მიზნობრივად მიმართვის გზით.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ამაღლება და გაძლიერდება მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეგულირების სისტემა, დაიხვეწება ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები. ვენახების კადასტრი მოიცავს ვენახების ფართობების რეესტრებს, ინფორმაციას ვენახებში გაშენებული ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობისა და მდგომარეობის შესახებ.

კადასტრის სისტემის საფუძველია ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემაზე (GIS) დაფუძნებულ სატელიტურ რუკებს.

2016 წელს საკადასტრო სამუშაოები კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში ჩატარდა - თელავის მუნიციპალიტეტში არილიცხა 5477,2 ჰა ვენახი.

2017 წელს საკადასტრო სამუშაოები გაგრძელდება ივემება კახეთის რეგიონში - ახმეტის მუნიციპალიტეტში.

ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია

2014 წელს სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის“ პროექტის განხორციელება დაიწყო, რომლის განხორციელება მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნის წარმოჩენას, მისი ისტორიის უწყვეტობის აღდგენას, მდიდარი მემკვიდრეობის ჩვენებას ქართველი და უცხოური ინსტიტუტებისა და მკვლევარების ერთობლივი კვლევების შედეგად.

პროგრამა 3-წლიანია და მის ფარგლებში ხორციელდება ახალი არქეოლოგიური გათხრების ხელშეწყობა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ვაზის ნაშთების სისტემატიზაცია, დათარიღება და ანალიზი; არქეოლოგიური მასალის ბიოქიმიური ტესტირება ღვინის ნაშთების აღმოჩენის მიზნით; ქართული მევენახეობა - მეღვინეობის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის წარმოჩენა; თანამედროვე მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ანალიზი და ა.შ.

2016 წელს ჩატარდა პროგრამაში მონაწილე მეცნიერების სამუშაო შეხვედრა თბილისში, სადაც შეფასდა შესრულებული სამუშაო და დაისახა 2016 წლის გეგმა.

შესრულდა ერთი არქეოლოგიური ექსპედიცია შულავერში ეროვნული მუზეუმის და ტორონტოს უნივერსიტეტის 37 მკვლევარის მონაწილეობით. ახალი არტეფაქტები დაიგზავნა შესაბამის ლაბორატორიებში; გამოქვეყნდა სამეცნიერო და საპრომოციო სტატიები; მომზადდა მოხსენება ვაზისა და ღვინის საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე;

პენსილვანიის უნივერსიტეტის ბიო-მოლეკულური არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელ პროფესორ პატრიკ მაკგოვერნის მიერ შესწავლილია ღვინის მჟავისა და ღვინისათვის ტიპური სხვა ქიმიური ნივთიერებების კვალი მიმდინარე წლის არქეოლოგიური გათხრების დროს „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. 6000 წელი) ძეგლებზე „გადაჭრილ გორასა“ და „შულავერის გორაზე“ აღმოჩენილ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებში (9 ნიმუში) და თანამდევ ნიადაგის ნიმუშებში (13 ნიმუში).

მაკგოვერნისა (აშშ) და სტივ ბატიუკის (კანადა) ხელმძღვანელობით დაწყებულია სამუშაოები სამეცნიერო სტატიის მოსამზადებლად აშშ-ს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (PNAS) გამოსაქვეყნებლად.

დეგუსტაციები

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლექტიკური ტესტირების მიზნით, 100 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 2416 ნიმუში, მათგან 131 ნიმუშმა არ დააკმაყოფილა შესაბამისი მოთხოვნები და ვერ გაიარა დეგუსტაცია, დანარჩენი შეფასდა დადებითად.

სერტიფიცირება

სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოში შემოსული განაცხადების საფუძველზე, სხვადასხვა დასახელების ღვინოებზე ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე სულ გაცემულია - 8282 ცალი საექსპორტო სერტიფიკატი.

მათ შორის:

შესაბამისობის სერტიფიკატი - 4257 ცალი (ყოფილი დსთ-ს და მე-3 ქვეყნებზე)

VI-1 ფორმის სერტიფიკატი - 4025 ცალი (ევროგაერთიანების ქვეყნებზე)

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება

2016 წელს განხორციელდა როგორც ადგილწარმოშობის, ასევე სუფრის საექსპორტო ღვინოების (ლოტთან მიმართებაში) სახელმწიფო კონტროლი - 47 ალკოჰოლური სასმელების კომპანიაში აღებული იყო 485 ნიმუში. მათგან სამ კომპანიაში გარკვეული სახეობის ღვინოები არ შეესაბამებოდა აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ ლოტზე გაცემულ ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს, რის შედაგედაც კონკრეტულ საექსპორტო ღვინოებზე უარი განეცხადათ.

საკანონმდებლო საქმიანობა

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა არაერთი შეხვედრა გამართეს საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს, ჩაატარა გაფართოებული შეხვედრა, „ასოციაცია ქართული ღვინისა“ და „კახეთის მეღვინეთა გილდიის“ მონაწილეობითა და მათი აქტიური ჩართულობით. კანონპროექტის ჩანაწერების თაობაზე გამოთქმული რეკომენდაციები და მოსაზრებები აისახა პროექტის ტექსტში, რომლის პლენარულ სხდომებზე განხილვაც 2017 წლის საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება.

ღვინის ეროვნული სააგენტომ განახორციელა ქმედითი ღონისძიებები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ქართული ღვინის დასახელებების, ასევე მასთან დაკავშირებული აღნიშვნების არამართლზომიერი გამოყენების ფაქტების აღკვეთასთან და პრევენციასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობისგან მიღებული მანდატის ფარგლებში სააგენტომ უკრაინის ანტიმონოპოლურ კომიტეტში შეიტანა განაცხადი უკრაინელი მწარმოებლის წინააღმდეგ, რომელიც საკუთარ პროდუქციაზე უკანონოდ იყენებდა და იყენებს ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებას, ასევე რომლის მიმართაც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ მის მიერ ღვინის ეტიკეტებზე დატანილ აღნიშვნებს შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი ღვინის წარმოშობის ქვეყანასთან მიმართებაში. სააგენტოს ძალისხმევის შედეგად უკრაინაში ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება.

ასევე, უკრაინის სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და სურსათის სამინისტროსთან კომუნიკაციით შედეგად უკრაინაში არ დამკაყოფილდა მწარმოებელთა განაცხადები ისეთი ტექნოლოგიური ინსტრუქციების შეთანხმების თაობაზე, რომელთა დასახელებები ახდენდნენ ქართული ღვინის დასახელებების იმიტაციას.

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ აქტიური თანამშრომლობით, უზრუნველყოფილ იქნა სან-ფრანცისკოს ღვინის სკოლის მიერ სასაქონლო ნიშნის „cradle of wine“-ის არამართლზომიერი გამოყენების აღკვეთის პრევენცია.

ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახლებების დაცვის მიზნით, სააგენტო ჩართული იყო არაერთ მნიშვნელოვან აქტივობაში, მათ შორის „საქპატენტის“ მიერ ჩინეთსა და რუსეთში სარეგისტრაციო პროცედურების განხორციელების პროცესში, რომლის შედეგადაც მოხდა ჩინეთში ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის - „ჭაჭის“, ხოლო რუსეთში ქართული ღვინის 6 ადგილწარმოშობის დასახელების („ხვანჭკარა“, „მუკუზანი“, „ქინძმარაული“, „წინანდალი“, „ტვიში“, „ახაშენი“) რეგისტრაცია.

ქართული ღვინის ბრენდ-სახელების დაცვის, მათ შორის დასახელებების კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსმა მოხსენებები გააკეთა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (The World Intellectual Property Organization - WIPO) წარმომადგენელთათვის, ასევე მონაწილეობა მიიღო WIPO- სა და „საქპატენტის“ ორგანიზებით გამართულ კონფერენციაში - „ბრენდინგის სტრატეგიები“, სადაც საერთაშორისო ექსპერტებისა და ადგილობრივი მწარმოებლებისთვის გააკეთა პრეზენტაცია ქართული ღვინის ბრენდ სახელების დაცვის საკითხებზე.